

სკოპინგის დასკვნა N13

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: მეტალურგიული საწარმოს (ფოლადის გლინულების წარმოება) რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ჯორჯია მეტალიქს ლიმიტედი“ (ს/კ: 205024855);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. ქუთაისი, შევჩენკოს ქუჩა N20;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 16.04.2026;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ჯორჯია მეტალიქს ლიმიტედი“ (შემდგომ - კომპანია) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოდგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის (ქ. ქუთაისში, მეტალურგიული საწარმოს (ფოლადის გლინულების წარმოება) რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია) სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე 2013 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ევრაზიამ სტილსის“ მეტალურგიულ წარმოებაზე (მეტალურგიული საწარმო „ჰერკულესი“ - გაცემულია N21 (28.05.2013) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N2-225; 11.03.2019).

2019 წელს კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე შპს „ევრაზიან სტილსზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „ამბიკონ სტილს“ (N2-268, 26.03.2019). ვინაიდან გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმების დაკისრების მიუხედავად, შპს „ამბიკონ სტილსი“ არ უზრუნველყოფდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებას, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის 5 ივნისის N2-428 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა შპს „ამბიკონ სტილსი“-ზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (N2-225; 11.03.2019) და N21 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (28.05.2013). ყოფილი მეტალურგიული საწარმოს ტერიტორიაზე შპს „გი მეტალი 2024“-ის მიერ დაგეგმილი იქნა საგლინავი ხაზის ექსპლუატაცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ 2025 წლის 11 ივნისს ქ. ქუთაისში შპს „გი მეტალი 2024“-

ის მეტალურგიული (საგლინავი) საწარმოს ექსპლუატაციაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N297/ს).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მეტალურგიული საწარმოს ფოლადსადნობი საამქროს რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია (ფოლადის გლინულების წარმოება) დაგეგმილია ქ. ქუთაისში, შევჩენკოს ქუჩა N20-ში, შპს „ჯორჯია მეტალიქს ლიმიტედის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 03.05.01.993; 03.05.24.376). ფოლადსადნობი საწარმოს შენობის GPS კოორდინატებია: X-307324, Y-4678016; X-307457, Y-4677945; X-307428, Y-4677893; X-307404, Y-4677907; X-307373, Y-4677848; X-307396, Y-4677835; X-307392, Y-4677828; X-307392, Y-4677828; X-307354, Y-4677850; X-307349, Y-4677841; X-307315, Y-4677859; X-307305, Y-4677839; X-307219, Y-4677884; X-307229, Y-4677904; X-307258, Y-4677889. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, წილის დროებითი განთავსებისა და ჯართის მიღება-დასაწყობებისთვის გამოყენებული იქნება საწარმოს შენობის გარშემო შპს „გი მეტალი 2024“-ის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 03.05.24.002) ნაწილი. კერძოდ, Shp-ფაილების მიხედვით, წილის დასაწყობება მოხდება დაახლოებით 5090 მ², ხოლო ჯართის მიღება-დასაწყობება - 8473 მ² ფართობის მქონე ტერიტორიაზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის (ს/კ: 03.05.24.002) საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 80 მეტრით, ხოლო უშუალოდ ფოლადსადნობი საწარმოდან - დაახლოებით 207 მეტრით (სოფ. ქვიტირი) არის დაშორებული. ჯართის მიღება-დასაწყობების უბნიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 140 მეტრში, ხოლო წილის დროებითი სანაყაროდან - დაახლოებით 105 მეტრში. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ წარმოდგენილი ტერიტორიის 500 მეტრიან რადიუსში განთავსებულია სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის მქონე ობიექტები, მათ შორის, შპს „გვირილა“, შპს „დამტა“, შპს „გეა ბილდინგი“, შპს „სამნი“, „ათინათი“, შპს „კარდელენი“, შპს „აის ლენდ ჯორჯია“, შპს „როინჰეტროლი“, შპს „ვათაგი“, შპს „გოგე და კომპანია“, შპს „ვესთ დეველოპმენტ 2024“, შპს „მესხეთი“, შპს „მშენებელი 2003“. წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით, ტერიტორია კვეთს შპს „ევრაზიან სტილის“ საკუთრებაში არსებულ სარკინიგზო მისასვლელ ლიანდაგს და სს „საქორგგაზის“ გაზსადენს. ასევე, საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 40 მეტრში მდებარეობს შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული სარკინიგზო ხაზი. გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, მეტალურგიული საწარმოს საგლინავ საწარმოს ექსპლუატაციას უწევს შპს „გი მეტალი 2024.“

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის უმოქმედობის (ნულოვანი) და ტექნოლოგიური ალტერნატივები. ამასთან აღნიშნულია, რომ განხილულ იქნა ფოლადსადნობი საწარმოს განთავსების რამდენიმე ალტერნატიული ტერიტორია, თუმცა ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. რაც შეეხება ტექნოლოგიურ ალტერნატივებს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ელექტრო-რკალურ ლუმელსა და ინდუქციურ ლუმელს შორის, გარემოსდაცვითი, ასევე

ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით, არჩევანი შეჩერდა ინდუქციური ღუმელების მოწყობის ალტერნატივაზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, შპს „ჯორჯია მეტალიქს ლიმიტედს“ ფოლადის გლინულების წარმოების მიზნით დაგეგმილი აქვს ტერიტორიაზე არსებული მეტალურგიული საწარმოს (კერძოდ, ფოლადსადნობი საწარმოს) რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია, რისთვისაც გამოყენებული იქნება არსებული დანადგარ-მექანიზმები. ანგარიშის თანახმად, საწარმოში დაგეგმილია წელიწადში 46720 ტონა (128 ტ/დღ) ფოლადის გლინულების წარმოება, რისთვისაც საჭირო იქნება დაახლოებით 49000 ტ/წელ ნედლეულის (მეტალის ჯართი) და დაახლოებით 1000 ტონა დამხმარე მასალების გამოყენება. ფოლადის დნობისთვის არსებული „MEGATERM ELEKTRONICS PVT“ ფირმის 4 ღუმელიდან (თითოეული შედგება 2 ტიგელური ღუმელისგან) მოხდება 2 ინდუქციური (4 ტიგელური) ღუმელის აღდგენა/რეკონსტრუქცია. რეკონსტრუქციის სამუშაოები გაგრძელდება 6-8 თვის განმავლობაში და დასაქმებული იქნება 10-15 ადამიანი, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმო იმუშავებს წელიწადში 365 დღე, 24 საათიანი (3 ცვლიანი) სამუშაო რეჟიმით, სადაც დასაქმებული იქნება 130-150 ადამიანი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია: ჯართის მიღება-დასაწყობების უბანი, ფოლადსადნობი საწარმოს, ტრანსფორმატორების განლაგების სივრცე, დამხმარე მასალებისა და მზა პროდუქციის საწყობები, წიდის დროებითი სანაყარო. საწარმოო ხაზის დანადგარები და ელექტროძრავები განთავსებული იქნება დახურულ შენობაში, ხოლო სატრანსპორტო საშუალებები და ჯართის დასამუშავებელი დანადგარები ღია სივრცეში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ტექნოლოგიური ციკლი დაიწყება ავტოტრანსპორტით შემოტანილი ჯართის (ფოლადის ჯართი, ღრუბლოვანი რკინა, ცხლად ბრიკეტირებული რკინა, ფერადი ნედლი მასალა) მიღება-დასაწყობებით, რომელიც აწონვისა და რადიაციული შემოწმების შემდგომ, მაგნიტური ამწის საშუალებით გადაიტვირთება ნედლეულის მომზადების მოედანზე, სადაც მოხდება ჯართის დახარისხება, დაჭრა, დაწნეხვა ბრიგეტებად (ლითონური მასალების დასაწნეხად გათვალისწინებულია 3 წნეხი, 2 გილიოტინური დაზგა, სახერხი მოწყობილობა), კონებად შეკვრა და დაქუცმაცება. მიღებული ნამზადი გასადნობად ჩაიტვირთება ელექტროინდუქციური ღუმელებში. დნობის ერთი ციკლის ხანგრძლივობა შეადგენს 3 საათს. დნობა გათვალისწინებულია მონაცვლეობით, კერძოდ, ერთ ტიგელურ ღუმელში დნობის პროცესის მიმდინარეობისას მეორე მომზადდება შემდგომი დნობისათვის. დნობის დამთავრების შემდეგ მეტალი ჩამოისხმება ყალიბებში და მიიღება დაახლოებით 80-85 ცალი სხმული (ზომებით 90x115x1500 მმ). მიღებული პროდუქცია უნდა შეადგენდეს სადნობი მასის 89%-ს, წარმოქმნილი წიდა - 4%-ს, ხოლო მცირე გაბარიტის ლითონის ნატეხები - 7%-ს. ლითონის ნატეხები დაბრუნდება ღუმელში ჩასატვირთად, ხოლო წიდა გადავა დროებით სანაყაროზე, შემდგომი რეალიზაციის მიზნით. მიღებული მზა პროდუქცია (ლითონის სხმულები) გადაეცემა მეტალურგიული საწარმოს შენობაში არსებულ საგლინავ საწარმოს, რომელსაც იჯარით განკარგავს შპს „გი მეტალი 2024“.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოო ობიექტზე წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური მიზნებისთვის. მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე სასმელი წყლით მომარაგება გათვალისწინებულია ქალაქის წყალსადენიდან, ხოლო საწარმოო დანიშნულებით - ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილის მეშვეობით. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გამოყენება მოხდება ინდუქციური ღუმელების გამაგრებელი სისტემის ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემისათვის. ტექნიკური მიზნებისთვის გამოყენებული წყლის რაოდენობა შეადგენს 12895 მ³/წელ, მათ შორის, გაგრძელების პროცესში აორთქლებული წყლის შესავსებად საჭიროა ყოველდღიურად დაახლოებით 35 მ³ წლის დამატება. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის ეტაპზე წყალი ასევე გამოყენებული იქნება ტერიტორიების მოსარწყავად და ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისათვის. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება საკანალიზაციო კოლექტორში, ხოლო საწარმოო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე დაბინძურებული სანიაღვრე წყლები არ წარმოიქმნება.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ვინაიდან ფოლადსადნობი საწარმოს რეკონსტრუქცია არ იქნება დაკავშირებული დიდი მოცულობის სამუშაოებთან, დიდი რაოდენობით ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. ვინაიდან საპროექტო ტერიტორია წარსულშიც გამოიყენებოდა საწარმოო დანიშნულებით, ტერიტორიის დასუფთავების ეტაპზე წარმოიქმნება ლითონის ჯართი, რომელიც გამოყენებული იქნება ნედლეულად, ხოლო სახიფათო ნარჩენებიდან ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები და სხვა ნარჩენები დროებით განთავსებული იქნება შესაბამისი მარკირების მქონე დახურულ კონტეინერებში. ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა (მათ შორის, ინდუსტრიული და სატრანსპორტო ზეთები, ზეთებით დაბინძურებული ქსოვილები, შედუღების ელექტროდების ნარჩენები, აბსორბენტები, ფილტრის მასალები, წიდის ნარჩენი, აირების გაწმენდის სისტემიდან მიღებულ მტვერი, ნარევი შესაფუთი მასალა და საყოფაცხოვრებო ნარჩენები). წიდის დროებითი განთავსება იგეგმება ჯართის მიმღები უბნის მიმდებარედ გამოყოფილ უბანზე, ხოლო მტვერდამჭერი სისტემებიდან მიღებული მტვერი განთავსდება ბიგ-ბეგებში, საწარმოო შენობაში გამოყოფილ უბანზე, სკოპინგის ანგარიშის თანახმად, წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია მეტალურგიული საწარმოს რეკონსტრუქცია-ექსპლუატაციის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ფოლადსადნობი საწარმოს რეკონსტრუქცია არ ითვალისწინებს მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს, შესაბამისად, მოწყობის ეტაპზე

ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, რეკონსტრუქციის სამუშაოებისას ასევე გათვალისწინებულია აირგამწმენდი სისტემის საწარმოს ჩრდილოეთით გადატანა (GPS კოორდინატები: X-307409, Y-4677995). ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება ძირითადად მოსალოდნელია საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, რაც დაკავშირებული იქნება ფოლადის სადნობი ღუმელის ფუნქციონირებასთან, ფოლადის დნობის, ნედლეულის (ჯართის და სხვა დამხმარე მასალების) მიღების და დამუშავების პროცესებთან. ატმოსფერული ჰაერის ძირითად დამაბინძურებელს წარმოადგენს: რკინის ოქსიდი, კადმიუმის ოქსიდი, მანგანუმი და მისი ნაერთები, სპილენძის ოქსიდი, ნიკელის ოქსიდი, ვერცხლისწყალი, ტყვია და მისი არაორგანული ნაერთები, ქრომი, თუთიის ოქსიდი, აზოტის ოქსიდი და დიოქსიდი, დარიშხანი, არაორგანული ნაერთები; გოგირდის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი, არაორგანული მტვერი და შეწონილი ნაწილაკები. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ღუმელები აღიჭურვება არანაკლებ 90%-იანი ეფექტურობის მქონე სახელოებიანი ფილტრით. ღუმელის ზედა ზონის ასპირაცია სახელოებიან ფილტრებში გაწმენდის შემდეგ ერთიანდება და მიემართება 1.2 მ დიამეტრისა და 30 მ სიმაღლის საერთო საკვამლე მილში. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის მნიშვნელობები არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება საწარმოს ექსპლუატაციასთან. კერძოდ, ხმაურის გავრცელება მოსალოდნელია ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარების, ელექტროძრავების და სატრანსპორტო საშუალებების მუშაობასთან. საწარმოს ტექნოლოგიური დანადგარები განთავსებული იქნება დახურულ შენობაში, რაც შეამცირებს ხმაურის გავრცელებას. ფოლადსადნობი საწარმოდან უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე შეადგენს დაახლოებით 31 დბა-ს, ხოლო ჯართის მიმღები უბნიდან - დაახლოებით 40 დბა-ს. წარმოდგენილი ინფორმაციით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ხმაურის დონე კანონმდებლობით დადგენილ ნორმირებულ ზღვარს არ გადააჭარბებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მეტალურგიული საწარმოს რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია დაგეგმილია ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის, ხოლო მცენარეული საფარი გვხვდება ხელოვნურად გაშენებული კულტურული და დეკორატიული მცენარეთა სახით. ამასთან, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ყოფილი მეტალურგიული საწარმოს მახლობლად მდებარეობს შპს „გი მეტალი 2024“-ის მეტალურგიული (საგლინავი) საწარმო. შესაბამისად, ფოლადსადნობი საამქროს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია

კუმულაციური ზემოქმედება, რომელიც დაკავშირებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელებასთან, ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედებასთან, ნარჩენების წარმოქმნასთან და სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედებასთან. ანგარიშის თანახმად, კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი იქნება დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება. მათ შორის, ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე, გაეგზავნა ქუთაისისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების მერიებს, საინფორმაციო დაფებზე განთავსების მიზნით.

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2026 წლის 7 მაისს, ქ. ქუთაისის მერიასა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ქვიტირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობებში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „ჯორჯია მეტალიქს ლიმიტედის“, საკონსულტაციო კომპანია - შპს „გამა კონსალტინგის“, ქუთაისის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო განხილვებზე დასმული კითხვები ძირითადად ეხებოდა: მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედებას, საწარმომდე მისასვლელი გზებსა და ნედლეულის შემოტანისთვის სატრანსპორტო ზემოქმედებას, საპროექტო ტერიტორიის მიდამოების მოწესრიგებას, საწარმოს სიახლოვეს არსებულ სამოვრებზე ზემოქმედებას და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს. საჯარო განხილვებზე დასმულ საკითხებზე შესაბამისი განმარტებები გააკეთეს შპს „ჯორჯია მეტალიქს ლიმიტედის“ და შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმებში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირდა დაგეგმილი საქმიანობიდან გამომდინარე, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზმ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზმ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილებების ღონისძიებები;
4. გზმ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზმ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).

5. გზმ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- საქმიანობის დეტალური აღწერა;
- საქმიანობის განხორციელების ადგილ(ებ)ის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით. მათ შორის, მიწის ნაკვეთების საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- დაზუსტებული მანძილი საწარმოს (როგორც საკადასტრო, ასევე უშუალოდ საპროექტო ტერიტორიიდან) ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
- ინფორმაცია საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);
- ინფორმაცია პროექტის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ, მათ შორის არაქმედების ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები, ადგილმდებარეობის ალტერნატივები (წარმოდგენილი უნდა იყოს ალტერნატივების Shp ფაილები) და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული დასაბუთებული ალტერნატივები;

- საქმიანობის დეტალური აღწერა, ფოლადის გლინულების წარმოების ტექნოლოგიური სქემის აღწერა შესაბამისი თანმიმდევრობით. ასევე ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი დანადგარებისა (მათ შორის საპასპორტო მონაცემები) და დამხმარე ინფრასტრუქტურის აღწერა, თითოეული საწარმოო ობიექტის/უბნის ტექნიკური პარამეტრებისა და ტექნოლოგიური სქემების მითითებით;
- საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის სიტუაციური სქემა და გენერალური გეგმა შესაბამისი აღნიშვნებითა და ექსპლიკაციით, საპროექტო ობიექტების, ასევე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევისა და ხმაურის წარმომქმნელი წყაროების მითითებით;
- ინფორმაცია ტექნოლოგიური ხაზის წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის მითითებით. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საწარმოში მიღებული ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის კონკრეტული რაოდენობების შესახებ (წლიური, დღეღამური და საათობრივი რაოდენობების მითითებით);
- დეტალური ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის წარმოშობის, რაოდენობის, ტიპის, ნედლეულის დასაწყობების ადგილებისა და პირობების შესახებ;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზებისა და მათი მდგომარეობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნედლეულის შემოტანისა და დამზადებული პროდუქციის გატანის პროცედურების/ტრანსპორტირების შესახებ, შესაბამისი სამომხრად მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი (ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის სიხშირის მითითებით) და ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ტრანსპორტის ტიპისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- გზში-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს ასახული საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- საწარმოს ტერიტორიის საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია საწარმოში წყლის გამოყენების შესახებ, გამოსაყენებელი წყლების რაოდენობისა და დანიშნულების (სასმელ-სამეურნეო, ტექნიკური და ხანძარსაწინააღმდეგო) მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოო პროცესში, მათ შორის ღუმელებისა და მათი დანადგარების გაგრილებისთვის წყლის გამოყენების შესახებ;
- ინფორმაცია სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის საკითხების შესახებ;

- დეტალური ინფორმაცია საწარმოს ტექნოლოგიურ უბნებზე, მათ შორის, წიდის დროებითი დასაწყობებისა და ჯართის მიღება-დასაწყობების უბნებზე, წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების დაბინძურებისა და მათი მართვის ღონისძიებების შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის, დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი. ასევე ინფორმაცია პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების/აზრის გათვალისწინებისა და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია, ასევე საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;

6. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს:
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები, გაბნევის ანგარიში, სადაც გათვალისწინებული იქნება მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების რაოდენობები, რომლის შესაბამისად განხორციელდება სერტიფიცირებული მოდელირების პროგრამის გამოყენებით საკონტროლო წერტილებში ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების (ზდკ) დადგენა;
 - გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი;
 - ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები, დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტურობის დასაბუთებით;
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მონიტორინგის გეგმა. მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით („დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“) განსაზღვრული უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის საწარმოში

დანერგვის/გამოყენების შესახებ დეტალური ინფორმაცია, გაფრქვევის წყაროების, მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტების, თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყო და სტანდარტის მითითებით;

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს მონიტორინგის გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება გაფრქვევის წყაროებზე მავნე ნივთიერებათა ყოველკვარტალური თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულების საკითხი და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან პერიოდული მონიტორინგის საკითხი (მონიტორინგის წერტილების კოორდინატების, მეთოდის და სიხშირის მითითებით);
- **კუმულაციური ზემოქმედების შეფასება საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მეტრიან რადიუსში) არსებული (მათ შორის, შპს „გი მეტალი 2024“) და საპროექტო ობიექტების ფუნქციური სტატუსებისა და წარმადობების მითითებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის. ასევე, კუმულაციური ზემოქმედების შემცირებისთვის უნდა განისაზღვროს და გზშ-ის ანგარიშში აისახოს შესაბამისი ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები;**
- ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და ინფორმაცია შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- საწარმოს ტერიტორიის გეოლოგიური პირობების აღწერა და გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება;
- ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება, მათ შორის, წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არსებული ბიოლოგიური გარემოს აღწერა და იდენტიფიცირდეს საწარმოს ფუნქციონირებით შესაძლო უარყოფითი ზემოქმედება ფლორისა და ფაუნის სახეობებზე. საჭიროების შემთხვევაში შემუშავდეს ბიოლოგიურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაძლო დაბინძურების განსაზღვრა, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ქრილში;
- ნარჩენების წარმოქმნით ან/და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და ინფორმაცია შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების (მათ შორის, ფოლადის დნობის პროცესში წარმოქმნილი წილისა და მტკვრდამჭერი სისტემიდან მიღებული მტკვრის ნარჩენების) კოდების, დასახელების,

რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ. კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა;

- ხმაურის გავრცელება და მოსალოდნელი ზემოქმედება საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- საწარმოს ფუნქციონირების დროს მოსალოდნელი შესაძლო ავარიული სიტუაციების აღწერა. მათ შორის, საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხების/ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა;
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია;

7. შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გამოყენებული ჯართის რაოდენობა შეადგენს 49000 ტონას. აღნიშნულის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშში უნდა დაზუსტდეს ინფორმაცია ჯართის წარმოშობის წყაროს შესახებ;
- იმ შემთხვევაში, თუ კომპანია თავად განახორციელებს ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებას, მხედველობაშია მისაღები, რომ აღნიშნული საქმიანობა „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29/03/2016 წ. №144 დადგენილების თანახმად, რეგისტრაციას დაქვემდებარებულ საქმიანობას წარმოადგენს და შესაბამისად, რეგისტრაციას საჭიროებს (რეგისტრაცია ხორციელდება ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (www.wms.mepa.gov.ge));

- სკოპინგის ანგარიშსა და Shp ფაილებში წარმოდგენილი ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიასთან დაკავშირებით საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ, თანდართული Shp ფაილებითა და GPS კოორდინატებით წარმოდგენილია შპს „ჯორჯია მეტალიქს ლიმიტედის“ საკუთრებაში არსებული (ს/კ: 03.05.01.993, ს/კ: 03.05.24.376) და შპს „გი მეტალი 2024“-ის საკუთრებაში (ს/კ: 03.05.24.002) არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. **ანგარიშსა და Shp ფაილებში არ იდენტიფიცირდება უშუალოდ საპროექტო ტერიტორია (ფოლადსადნობი საწარმო). შესაბამისად, გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იქნას უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის (ფოლადსადნობი საწარმო) შესახებ ინფორმაცია, Shp ფაილებით, GPS კოორდინატებითა და სქემატურ ნახაზებზე ჩვენებით;**
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ფოლადსადნობი საწარმოს რეკონსტრუქციის ეტაპზე დაგეგმილია აირგამწმენდი სისტემის ინფრასტრუქტურის საწარმოს ჩრდილოეთით გადატანა. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ აირგამწმენდი სისტემა, ჯართის მიღება-დასაწყობების და წიდის დროებითი განთავსების (სანაყარო) უბნები მდებარეობს შპს „გი მეტალი 2024“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული ტერიტორიების გამოყენების შემთხვევაში, გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს მიწის ნაკვეთით სარგებლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ წარმოდგენილი ტერიტორიის 500 მეტრიან რადიუსში განთავსებულია სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის მქონე ობიექტები (მათ შორის, შპს „გვირილა“, შპს „დამტა“, შპს „გეა ბილდინგი“, შპს „სამნი“, „ათინათი“, შპს „კარდელენი“, შპს „აის ლენდ ჯორჯია“, შპს „როინპეტროლი“, შპს „ვათაგი“, შპს „გოგე და კომპანია“, შპს „ვესტ დეველოპმენტ 2024“, შპს „მესხეთი“, შპს „მშენებელი 2003“), რომელთა ფუნქციური დატვირთვის შესახებ ინფორმაცია სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, 500 მ რადიუსში არსებული ობიექტებისა და მათი ფუნქციური დატვირთვის შესახებ, სიტუაციურ სქემაზე ჩვენებით;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ ადმინისტრაციული შენობის ტერიტორია კვეთს სს „საქორგგაზის“ გაზსადენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას სს „საქორგგაზისთან“ შეთანხმების (მათ შორის, კომუნიკაციის) ამსახველი/დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოპინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „საწარმოს წარმადობა იქნება წელიწადში 46729 ტონა ფოლადის წარმოება“, თუმცა სკოპინგის ანგარიშის თანახმად, უწყვეტი მეტალურგიული პროცესის გათვალისწინებით, წლიურად შესაძლებელია 46720 ტონითონის გამოშვება. შესაბამისად, საწარმოს წლიური წარმადობის შესახებ ინფორმაცია დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს;

- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კომპანია „დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების მიზნით განიხილავდა ფოლადსადნობი საწარმოს განთავსების რამდენიმე ალტერნატიულ ვარიანტს, მათ შორის, საწარმოო ინფრასტრუქტურის მოწყობას ამისათვის შერჩეულ ახალ ტერიტორიაზე.“ ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ახალი ტერიტორიის შესახებ. შესაბამისად, გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იქნას ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის (მათ შორის, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული დასაბუთებული ალტერნატივების) შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი GPS კოორდინატი X-307324, Y-678016 არასწორია და დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის ეტაპზე წყალი ასევე გამოყენებული იქნება ტერიტორიების მოსარწყავად. დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია მოსარწყავი ტერიტორიების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საწარმოს წყალმომარაგება ხორციელდება ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილის წყლით.“ გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას ჭაბურღილიდან წყლის მოპოვების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი ლიცენზიის მითითებით;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, რკინის ჯართის ტრანსპორტირება მოხდება ავტოტრანსპორტის საშუალებების გამოყენებით. გზმ-ის ეტაპზე დეტალურად უნდა იქნას განხილული ნედლეულის (რკინის ჯართი) როგორც საწარმო ტერიტორიაზე შემოტანის, ასევე უშუალოდ დანადგარში (ინდუქციური ღუმელები) ჩატვირთვის საკითხი;
- სკოპინგის ანგარიშში სქემატური ნახაზი 4.2.1.3.1. (საწარმოს ღუმელებიდან ასპირაციისა და მტვერდამჭერი სისტემის ზოგადი სქემა) წარმოდგენილია დაბალი გარჩევადობით, ლათინური აბრევიატურით და ინგლისურ ენაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს სქემატური ნახაზები და სურათები მაღალი გარჩევადობით და ქართულ ენაზე, ვინაიდან ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ქართულ ენაზე;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია 4 ინდუქციური ღუმელი (ერთი ღუმელი შედგება ორი ერთეული ტიგელური ღუმელისაგან). ამასთან აღნიშნულია, რომ „სამქროს რეკონსტრუქცია ითვალისწინებს არსებული 8 ერთეული ინდუქციური ღუმელიდან 4 ღუმელის აღდგენა/რეაბილიტაციას“. ასევე ანგარიშში მითითებულია, რომ „რეკონსტრუქციის პროექტი ითვალისწინებს საწარმოში არსებული 4 ინდუქციური ღუმელიდან (8 ტიგელური ღუმელი), ორი ინდუქციური ღუმელის (4 ტიგელური ღუმელი) აღდგენა/რეაბილიტაციას. მითითებული ინდუქციური ღუმელების რაოდენობა დაზუსტებას საჭიროებს;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ფოლადის ნამზადის მისაღებად საჭირო იქნება დაახლოებით 49000 ტონა ჯართი და დაახლოებით 1000 ტონა დამხმარე მასალები. დამხმარე მასალების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვეთავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ჯორჯია მეტალიქს ლიმიტედის“ მიერ წარმოდგენილ საქმიანობაზე (ქ. ქუთაისში, მეტალურგიული საწარმოს (ფოლადის გლინულების წარმოება) რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია) **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით, სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.